საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/4156
04/08/2022

4156-21-2-202208041629

შპს „კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოშის“
მის: ქ. თბილისი ად. მიცკევიჩის ქ. №29, კორპ. №1
ელ. ფოსტა: liqingyou2013@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №3113 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ხულოს მუნიციპალიტეტში, სოფ. დანისპარაულის მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ აღნიშნული საკადასტრო ერთეული წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს. გაცნობებთ, რომ „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების გარეშე მისი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება დაუშვებელია;
- სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს ტერიტორიაზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის (განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებები) გათვალისწინებით;
- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარის შემადგენელი ობიექტების ჩამონათვალი სრულად, შესაბამისი GPS კოორდინატების მითითებით;
- სკრინინგის განცხადებაში, საწარმოო მიზნით გამოყენებული წყლის რაოდენობა რიგ შემთხვევაში მითითებულია, რომ იქნება 30 000-60 000 $მ^3$, ხოლო რიგ შემთხვევაში – 30 000 $მ^3$. ამასთან, „საწარმოო დანიშნულებით წყალმომარაგების“ თავში აღნიშნულია, რომ „წყლის გამოყენება მოხდება საწარმოს წარმადობის პროპორციულად, რაც დღიურად იქნება 120-240 $მ^3$, ხოლო საათში იქნება მაქსიმუმ 30 $მ^3$“. განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ არსებული გაწმენდილი წყლის რაოდენობა საშუალებას იძლევა მოხდეს მისი ხელმეორედ გამოყენება საწარმოო

მიზნებისათვის, ხოლო გამოყენებული წყლის ზედაპირულ წყლის ობიექტში ჩაშვება მოხდება მხოლოდ ჭარბი წყლის რაოდენობის წარმოქმნის შემთხვევაში. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო რეჟიმისა (250 დღე, დღე–ღამეში 8 სთ) და წარმადობის (30 $მ^3$/სთ) გათვალისწინებით, დაზუსტებას საჭიროებს საწარმოო მიზნით საჭირო წყლის რაოდენობა, როგორც დღიურად, ასევე წლის განმავლობაში, ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს ზედაპირული წყლის ობიექტიდან ამოღებული წყლის დაზუსტებული მოცულობები თვეების მიხედვით;

- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ საწარმოო დანიშნულებით ტექნიკური წყლის აღება ხორციელდება საწარმოს მიმდებარედ დანისპარაულის ღელედან. რომლის საშუალო წლიური ხარჯი წარმოადგენს 2-3 $მ^3$/წმ. საჭიროა წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია დანისპარაულის ღელეს ჰიდროლოგიური მონაცემების შესახებ;
- დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იქნეს წყალაღებისთვის გათვალისწინებული ტუმბოს წარმადობა. ასევე, წყალაღების წერტილიდან საპროექტო ტერიტორიამდე გათვალისწინებული მილის სიგრძე;
- „საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედების“ თავში მითითებულია, რომ „საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 100 მეტრის დაშორებით მდებარეობს, კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (ს/კ: 23.01.33.385), რომელზეც განთავსებულია და ფუნქციონირებს ამავე კომპანიის კუთვნილი ტექნოლოგიური დანადგარები და მიმდინარეობს ბეტონის წარმოება“. სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოს განთავსებიდან ბეტონის საწარმომდე მანძილი, ბეტონის საწარმოს განთავსების წერტილის GPS კოორდინატების მითითებით გენგეგმაზე დატანით;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ, „გამოყენებული დანადგარის“ თავში მითითებულია, რომ „მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნის შემდგომ, ტერიტორიაზე განხორციელდება მოედნის მოსწორება და დატკეპნა, სადაც განთავსდება სამსხვრევი დანადგარი სათანადო კომპლექტაციით.“ ხოლო „ზემოქმედება ნიადაგის და გრუნტის ხარისხზე“ თავში აღნიშნულია, რომ „მიწის ნაყოფიერი ფენა მოხსნილია და დასაწყობებულია სამინისტროსთან შეთანხმებული რეკულტივაციის გეგმის შესაბამისად“. ამასთან, ამავე თავში (გვ. 12) აღნიშნულია, რომ „სამშენებლო ბანაკის მოწყობამდე, ჯამში, ორივე უბნის 0.87 ჰა ფართობზე, დაგეგმილია 696 $მ^3$ ნიადაგის მოხსნა და ტერიტორიის შიდა პერიმეტრში დასაწყობება“. დაზუსტებას საჭიროებს უშუალოდ საპროექტო ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის შესახებ ინფორმაცია. მათ შორის, საპროექტო მიწის ნაკვეთის (ს/კ: 23.01.33.385) რა ფართობზეა დაგეგმილი ან/და უკვე მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, მისი მოცულობის მითითებით ($მ^3$-ში).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო